ფორუმი: საქართველო 35 წლის შემდეგ:
ერთი თაობის გაკვეთილები

თედო ჯაფარიძე

ღუზა ვექტორებამდე: საქართველოს სტრატეგიული არჩევანი ცვალებად სამყაროში

სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ცნობიერების ცენტრის ხედვას.

© 2026 ევროკავშირის ცნობიერების ცენტრი. ყველა უფლება დაცულია.

25 ივნისი 2026

ღუზა ვექტორებამდე: საქართველოს სტრატეგიული არჩევანი ცვალებად სამყაროში

ბოლო ხანს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ მიმდინარე დისკუსიებში სულ უფრო ხშირად გვესმის საუბარი პრაგმატიზმზე, ტრანსაქციონალიზმზე, სტრატეგიულ ბალანსზე და საერთაშორისო ურთიერთობებში ე. წ. „მრავალვექტორული პოლიტიკის“ შესაძლებლობაზე. თუმცა, ამ დისკუსიის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი პრობლემას არასწორი მხრიდან უდგება.

სანამ ვიმსჯელებთ, როგორ უნდა იპოვოს საქართველომ გზა არასტაბილურ და სწრაფად ცვალებად საერთაშორისო გარემოში, ჯერ უფრო ფუნდამენტურ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ: **ვინ ვართ ჩვენ? სად არის ჩვენი ადგილი? და როგორი სახელმწიფოს აშენება გვინდა?** მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის შემდეგ შეგვიძლია, შინაარსიანად ვისაუბროთ საგარეო პოლიტიკის **ჩამოყალიბებისა და განხორციელების** ინსტრუმენტებზე.

საქართველოს ზომისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნისათვის სტრატეგიული ორიენტაცია და საგარეო პოლიტიკა ერთი და იგივე არ არის. სტრატეგიული ორიენტაცია განსაზღვრავს დანიშნულების ადგილს, საგარეო პოლიტიკა კი — იქ მისასვლელ გზას. ამ ორი ცნების აღრევა ქმნის საფრთხეს, რომ დიპლომატია იმპროვიზაციად იქცეს, ხოლო ტაქტიკამ სტრატეგია ჩაანაცვლოს.

ამ განსხვავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ იმ დებატებში, რომლებიც დღეს „მრავალვექტორულ“ საგარეო პოლიტიკას უკავშირდება.

ეს კონცეფცია თავისთავად არც სწორია და არც მცდარი. ყველა წარმატებული სახელმწიფო ურთიერთობს მრავალ პარტნიორთან და შესაძლებლობებს იქ ეძებს, სადაც ისინი არსებობს. ამერიკის შეერთებული შტატები კონკურენციის მიუხედავად ურთიერთობს ჩინეთთან. ინდოეთი ერთდროულად თანამშრომლობს როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან. ჩვენი მეზობელი თურქეთი ურთიერთობებს სხვადასხვა მიმართულებით ავითარებს.

პრაგმატიზმი სახელმწიფო მართვის სრულიად ბუნებრივი ინსტრუმენტია.

გადამწყვეტი განსხვავება ის არის, რომ ამ ქვეყნებს მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული საკუთარი სტრატეგიული იდენტობა და გრძელვადიანი მიზნები. მათი დიპლომატია ემსახურება სტრატეგიას, და არა პირიქით: სტრატეგია — დიპლომატიას.

თანმიმდევრობა საქართველოსთვისაც სწორედ ასეთი უნდა იყოს.

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, ვინ ვართ. მეორე — სად არის ჩვენი ადგილი? მესამე — რა არის ჩვენი გრძელვადიანი ეროვნული ინტერესები? და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ, როგორ დავიცვათ ეს ინტერესები დიპლომატიის, ვაჭრობის, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისა და რეგიონული ჩართულობის საშუალებით.

ერი, რომელსაც **მყარი სტრატეგიული ღუზა არ გააჩნია** და საკუთარ თავს მაინც „მრავალვექტორულად“ აცხადებს, საბოლოოდ ძალაუფლების ურთიერთმოქიშპე გლობალურ ცენტრებს შორის **იხეტიალებს**. ხოლო ერი, რომელსაც ასეთი სიმყარე აქვს, მრავალ პარტნიორთან ურთიერთობას თავდაჯერებითა და საკუთარი თავის რწმენით მოახერხებს.

ეს განსაკუთრებით მართებულია მცირე სახელმწიფოების შემთხვევაში.

დიდ სახელმწიფოებს ზოგჯერ აქვთ სტრატეგიული ბუნდოვანების ფუფუნება. მცირე სახელმწიფოებს ასეთი ფუფუნება იშვიათად ეძლევათ. დიდები ქმნიან ვექტორებს, პატარები კი მათ შორის მოძრაობენ. მცირე სახელმწიფოს მთავარი კაპიტალი ხშირად მისი ძალა კი არა, სანდოობა, პროგნოზირებადობა და სტრატეგიული სიცხადეა.

სწორედ ამიტომ, მრავალვექტორული დიპლომატია საქართველოსთვის შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს, მაგრამ ის ვერასოდეს ჩაანაცვლებს სტრატეგიულ ორიენტაციას. მეტიც: სახელმწიფო, რომელსაც არ მოეპოვება ე. წ. „სტრატეგიული ღუზა“, სინამდვილეში მრავალვექტორულ პოლიტიკას კი არ ატარებს, არამედ მხოლოდ **ერთ ვექტორსა და მეორეს შორის ქანქარებს**.

საქართველოს უახლესი ისტორია ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოცდილებას გვაძლევს. ქვეყნის დასავლური ორიენტაცია არასოდეს ყოფილა მხოლოდ გეოპოლიტიკური არჩევანი. იგი გამოხატავდა უფრო სიღრმისეულ გადაწყვეტილებას — როგორი სახელმწიფო გვინდოდა აგვეშენებინა: სახელმწიფო, სადაც უზენაესია კანონი და არა **პიროვნულ ძალაუფლებაზე დამყარებული მმართველობა**; სადაც ინსტიტუტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნებები; სადაც ანგარიშვალდებულება სჯობნის დამოკიდებულებას, ხოლო მოქალაქე — ხელქვეითს.

ამგვარ არჩევანს პრაგმატიზმის საჭიროება არ გაუუქმებია. არც იმაში შეუშლია ხელი, რომ საქართველოს ურთიერთობა ჰქონოდა განსხვავებული პოლიტიკური სისტემებისა და სტრატეგიული ინტერესების მქონე სახელმწიფოებთან. მაგრამ სწორედ ეს არჩევანი ქმნიდა იმ მყარ საყრდენს, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ამ ურთიერთობების მართვა.

ამიტომ საქართველოს წინაშე დღეს მდგარი მთავარი კითხვა ის კი არ არის, უნდა ესაუბროს თუ არა ვაშინგტონს, ბრიუსელს, მოსკოვს, პეკინს, ანკარას, ბაქოსა თუ ერევანს.

საქართველო უნდა ესაუბროს ყველას.

ნამდვილი კითხვა ის გახლავთ, ეფუძნება თუ არა ეს ურთიერთობები მკაფიოდ გააზრებულ ეროვნულ მიზანს?

სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია, სუვერენულად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც ორივე ფეხზე მყარად დგას ქვეყნის შიგნით. მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნებულია საკუთარ იდენტობაში, ინსტიტუტებსა და სტრატეგიულ მიმართულებაში, სახელმწიფოს შეუძლია მრავალ პარტნიორთან ურთიერთობა ისე, რომ მუდმივად არ სვამდეს კითხვას — სად არის მისი ადგილი. მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის თავში დარწმუნებულია, სახელმწიფოს აღარ უწევს საკუთარი სტრატეგიული ორიენტაციის ყოველ ჯერზე თავიდან განსაზღვრა.

ამიტომ დისკუსია ვექტორებით არ უნდა იწყებოდეს.

ის ღუზით უნდა დაიწყოს.

როდესაც ღუზა საიმედოდ არის ჩაშვებული, პრაგმატიზმი გაურკვევლობის წყაროდ კი აღარ იქცევა, არამედ — ძალად. დივერსიფიკაცია მიმართულების დაკარგვას კი აღარ ნიშნავს, არამედ გონივრული ინსტრუმენტის ფლობას. მრავალვექტორული დიპლომატია ხდება სახელმწიფო ხელოვნების ნაწილი და არა სტრატეგიის შემცვლელი.

დღევანდელ, სულ უფრო გაურკვეველ მსოფლიოში საქართველოს პირველი ამოცანა ვექტორებს შორის არჩევანი არ არის. მისი უმთავრესი ამოცანაა, განსაზღვროს,

შეინარჩუნოს და გააძლიეროს ის ღუზა, რომლითაც უნდა იწყებოდეს მისი ყველა საგარეოპოლიტიკური ვექტორი.